ოჯახში ძალადობაზე პასიური რეაგირების ფაქტორები ძალადობის მსხვერპლ ქალებთან

ნინო პატატიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი - ნინო პატატიშვილი

თარიღი: 10.07.2020

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია ოჯახში ძალადობაზე პასიური რეაგირების ფაქტორების შესწავლა ძალადობის მსხვერპლ ქალებთან.

კვლევა ჩატარდა ქ. თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის სერვისით მოსარგებლე ბენეფიციარებთან თვისებრივი მეთოდის გამოყენებით. მონაცემები დამუშავდა თემატური ანალიზის გზით. კვლევის შედეგად გამოვლინდა ძალადობაზე პასიური რეაგირების 4 ძირითადი ფაქტორი: პასიური რეაგირების ფსიქოლოგიური ფაქტორები (კოგნიტური შეცდომები, უსუსურობის განცდა, დამოუკიდებლად ცხოვრების შიში, აღქმული საფრთხის შიში, პარტნიორის გამოსწორების იმედი, პარტნიორის საქციელის გამართლება, პარტნიორისადმი ემოციური დამოკიდებულება, სიყვარული); სქესთან დაკავშირებული სტერეოტიპები; პასიური რეაგირების ეკონომიკური ფაქტორები (მატერიალური მდგომარეობა, ალტერნატიული საცხოვრებლის არქონა); გარემო ფაქტორები (შვილები, არამხარდამჭერი გარემო, ინფორმაციის ნაკლებობა ძალადობის მსხვერპლთათვის არსებულ სერვისებზე).

საკვანძო სიტყვები: ოჯახში ძალადობა, ქალთა მიმართ ძალადობა, გენდერული სტერეოტიპები, ფსიქოლოგიური ფაქტორები, კოგნიტური შეცდომები.

Abstract

The paper aims to study the factors of passive reaction to domestic violence with female victims.

The study was conducted with the beneficiaries using the services of the Crisis Service Center for Victims of Violence in Tbilisi, using a qualitative method. The data were processed by thematic analysis. The study identified 4 main factors in passive reaction to violence: psychological factors of passive reaction (cognitive distortions, feelings of helplessness, fear of living independently, fear of perceived danger, hope for partner redressing his behavior, justification of partner's behavior, emotional dependence on the partner, love); Sex-related stereotypes; Economic factors of passive reaction (financial status, lack of alternative housing); External factors (children, non-supportive environment, lack of information on services for victims of violence).

Keywords: domestic violence, violence against women, gender stereotypes, psychological factors, cognitive distortions.

მადლობა

პირველ რიგში, მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო, ჩემს ხელმძღვანელს, ნინო ჯავახიშვილს, მოცემული ნაშრომის შესრულებისას გაწეული მხარდაჭერისა და დახმარებისათვის.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ქ. თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის იურისტს, მარიკა ჟორდანიას და კრიზისული ცენტრის სერვისით მოსარგებლე ბენეფიციარებს კვლევაში შეტანილი წვლილისათვის.

თარიღი: 10.07.2020